



GEORGIAN INSTITUTE
OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანია აღზარდოს სტუდენტები რომელთაც ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კარგი ცოდნა, ფართო განათლება, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების, პროგრამის ფარგლებში შესწავლილი მიმართულებების ძირითადი პოზიციების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებს გაერკვეს საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების ყველაზე აქტუალურ საკითხებში და ექნება კარგი საბაზისო ცოდნა, რათა გააგრძელონ შემდგომში სწავლა და კვლევითი საქმიანობა აღნიშნული მიმართულებებით. პროგრამა სტუდენტებს მისცემს საკმარის უნარ-ჩვევებს და ცოდნა იმისათვის, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ სახელმწიფო სამსახურში, არასამთავრობო სექტორსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებაში, საერთაშორისო მშვიდობის დაცვასა თუ დემოკრატიის განმტკიცებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცნობა და გაცნობიერება:

დარგის შესწავლა და გაცნობიერება სტუდენტს საშუალებას აძლევს გაეცნოს და აღწეროს საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები და მიმართულებები - როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები, მსოფლიო ისტორია, ეროვნული უსაფრთხოება, საერთაშორისო ორგანიზაციები და პოლიტიკური რეჟიმები. სტუდენტი აღწერს ერი სახელმწიფოს რაობას და მის როლს საერთაშორისო საზოგადოებაში და თეორიული ჩარჩოს ფარგლებში განმარტავს სახელმწიფო ინტერაქციის ძირითად შედეგებს. ამასთან, სტუდენტი განიხილავს და ეცნობა მომიჯნავე სფეროების იმ მიმართულებებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია საერთაშორისო ურთიერთობათა ათვისება - როგორცაა შედარებითი პოლიტიკა, სოციოლოგია, ეკონომიკა. სპეციფიკურად დარგობრივი სფეროების გარდა, სტუდენტი ეცნობა ისეთი მიმართულებების ძირითად პრინციპებს როგორცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა და ხელოვნება ამისა, რაც მას ეხმარება მსჯელობის უკეთ განვითარებასა და თვალსაწიერის გაფართოებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი და ასევე სოციალური მეცნიერებების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდის მეშვეობით სტუდენტი აანალიზებს პრობლემას და აჩვენებს მისი გადაჭრის სავარაუდო გზებს. შესწავლილ მასალას აკავშირებს მიმდინარე მაგალითებთან და აკეთებს მარტივ შედარებით ანალიზს.

დარგის შესწავლის პროცესში სტუდენტი ეცნობა საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკულ საკითხებს, რაც მას აძლევს საგარეო პოლიტიკის, გლობალური უსაფრთხოების, ეროვნული უსაფრთხოების, საერთაშორისო თანამშრომლობის ვაჭრობისა და განვითარების საკითხების გაგების და მარტივი ინტერპრეტაციის საშუალებას.

დასკვნის უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებთან, გლობალურ უსაფრთხოებასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთი მონაცემების ჭრილში როგორცაა სამხედრო ძალა, ეკონომიკური განვითარება, ძალთა ბალანსი, პოლიტიკური სტაბილურობა და ინსტიტუციები. ბაკალავრი აღნიშნულ ცნებებზე დაყრდნობით აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.

სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში არსებული მონაცემების, მონათესავე სფეროებში არსებულ მონაცემებთან შედარება და მათი შეკავშირების საფუძველზე არსებული დასკვნების ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე რეგულარული დისკუსიების, პრეზენტაციების, ასევე სფეროში მოღვაწე ცნობილ პროფესიონალებთან შეხვედრების გზით სტუდენტს უყალიბდება წერიტი და ვერბალური კომუნიკაციის უნარს; ქართული ენის ცოდნის გაღრმავებისა და უცხო ენების კარგად ათვისების გზით, როგორც ქართულ ასევე უცხოურ აუდიტორიასთან, ბაკალავრი იუმჯობესებს ურთიერთობების უნარ-ჩვევებს. სტუდენტს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშის მომზადება, როგორც ქართულ ასევე უცხო ენებზე.

სწავლის უნარი:

სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებული აკადემიური მასალისა თუ პუბლიცისტიკის გააზრება-გაანალიზება; ძრითადი პრინციპების ათვისებით სტუდენტი ივითარებს, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხების გაღრმავების უნარს. სტუდენტს შეუძლია მამზადოს წერილობითი და ვერბალური პრეზენტაციები, მემორანდუმები, რეპორტები საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად საკითხებზე. ჯგუფური და ინდივიდუალური მეთოდების გამოყენების შედეგად ბაკალავრი იუმჯობესებს როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდში მუშაობის უნარჩვევებს. დროში განსაზღვრული დავალებების ჩაბარების სისტემურიდან გამომდინარე სტუდენტი ეუფლება შეზღუდულ ვადაში სამუშაოს შესრულების უნარს.

ღირებულებები:

სტუდენტი პატივს სცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს, ამასთან იაზრებს ჯგუფური მუშაობის აუცილებლობას და გამოიმუშავებს კოლეგის აზრებისადმი ტოლერანტულ მიდგომას. ბაკალავრი ეუფლება პროფესიულ ეთიკას და იაზრებს თუ რამდენად ნეგატიურია პლაგიატიზმი და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ყველა ფორმა. სტუდენტი აღიარებს დემოკრატიულ პრინციპებს და პატივს სცემს სხვა ადამიანთა მოსაზრებას მაშინაც კი, როცა მათ არ ეთანხმება. სტუდენტს გააზრებული აქვს ეროვნული უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის ღირებულებები.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

ლექცია

სამუშაო ჯგუფში მუშაობა

პრაქტიკული მუშაობა

სემინარი

ელექტრონული რესურსით სწავლება

ელექტრონული სწავლება

სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება,

პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში. იგულისხმება ისეთი უწყებები როგორცაა საგარეო თუ თავდაცვის სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობოები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო ურთიერთობათა და უსაფრთხოების საკითხებზე.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი: თორნიკე შარაშენიძე

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და აღწერილობა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			სავალდებულო ზოგადი საგნები	11	22	6	5						
1.	BIR 150	არ გააჩნია	ქართული მართლწერა		5/125							48	77
2.	BIR 160	არ გააჩნია	ლოგიკა	5/125								32	93
3.	BIR 190	არ გააჩნია	მსოფლიო ლიტერატურა I	6/150								36	114
4.	BIR 200	BIR 190	მსოფლიო ლიტერატურა II		6/150							36	114
5.	BIR 180	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		5/125							48	77
6.	BIR 170	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები		6/150							42	108
7.	BIR 220	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში				5/125					33	92
8.	BIR 240	არ გააჩნია	შესავალი კინემატოგრაფიის ისტორიაში			6/150						48	102
			ინგლისური ენის კომპონენტი	6	6	6	6						
9.	BIR 105	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Elementary)	6/150								93	57
10.	BIR 110	BIR 105	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Pre-intermediate)		6/150							93	57
11.	BIR 115	BIR 110	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Intermediate)			6/150						93	57
12.	BIR 120	BIR 115	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Upper- intermediate)				6/150					93	57
			სპეციალობის სავალდებულო საგნები	12	6	18	18	28	24	24	18		
13.	BIR 260	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	6/150								48	102
14.	BIR 280	არ გააჩნია	შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში			6/150						48	102
15.	BIR 300	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.)		6/150							48	102
16.	BIR 320	BIR 300	საქართველოს ისტორია (1230 - 1801)			6/150						45	105
17.	BIR 340	BIR 160	ეკონომიკის საფუძვლები					5/125				35	90
18.	BIR 360	არ გააჩნია	მსოფლიო ისტორია (ძვ.წ. 3000 - ახ.წ. 1500 წწ.)			6/150						48	102
19.	BIR 380	BIR 360	მსოფლიო ისტორია. 1500-1815				6/150					48	102
20.	BIR 400	BIR 380	მსოფლიო ისტორია (1815-2000 წწ.)					6/150				48	102
21.	BIR 480	BIR 260	მსოფლიო პოლიტიკა				6/150					45	105
22.	BIR 420	BIR 480	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში					6/150				45	105
23.	BIR 440	BIR 260	შესავალი შედარებით პოლიტიკაში					6/150				42	108
24.	BIR 460	BIR 480	შესავალი საერთაშორისო სამართალში					5/125				48	77
25.	BIR 500	BIR 480	ევროკავშირის პოლიტიკა						6/150			32	118

26.	BIR 540	BIR 150	კვლევის მეთოდები						6/150			48	102
27.	BIR 560	BIR 480	სტრატეგია								6/150	45	105
28.	BIR 580	BIR 300	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა						6/150			48	102
29.	BIR 640	BIR 260	პოლიტიკური იდეოლოგიები							6/150		42	108
30.	BIR 700	BIR 280	საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა								6/150	45	105
31.	BIR 740	BIR 340	საერთაშორისო ეკონომიკა							6/150		30	120
32.	BIR 800	BIR 260	დემოკრატიის საფუძვლები	6/150								48	102
33.	BIR 520	BIR 260	შესავალი კონფლიქტოლოგიაში						6/150			32	118
34.	BIR 620	BIR 340	პოლიტიკის ანალიზი							6/150		32	118
35.	BIR 840	BIR 480	საერთაშორისო ორგანიზაციები								6/150	48	102
36.	BIR 680	BIR 400	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა							6/150		45	105
37.	BIR 660	BIR 260	პოლიტიკური ტექნოლოგიები				6/150					48	102
სპეციალობის არჩევითი საგნები								6	6	5	12		
38.	BIR 600	BIR 340	საერთაშორისო განვითარება								6/150	48	102
39.	BIR 720	არ გააჩნია	ადამიანის რესურსების მართვა საჯარო სექტორში							5/125		35	90
40.	BIR 760	BIR 340	საერთაშორისო ბიზნესი								6/150	32	118
41.	BIR 462	BIR 460	ევროკავშირის სამართალი							5/125		48	77
42.	BIR 820	არ გააჩნია	მენეჯმენტის საფუძვლები								6/150	48	102
43.	BIR 860	არ გააჩნია	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი I					6/150				48	102
44.	BIR 900	BIR 860	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი II						6/150			48	102
45.	BIR 950	არ გააჩნია	რუსული ენის პრაქტიკული კურსი I					6/150				48	102
46.	BIR 955	BIR 950	რუსული ენის პრაქტიკული კურსი II						6/150			48	102
47.			თავისუფალი კომპონენტი ⁵								5	10	
სემესტრში				29	34	30	29	34	30	29	30		
წელიწადში				63		59		64		59			

სწავლების შედეგების რუკა

¹ კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
² სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
³ საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.
⁴ დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).
⁵ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 15 კრედიტისა.

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სავალდებულო ზოგადი საგნები								
1.	BIR 150	ქართული მართლწერა	X	X	X	X	X	X
2.	BIR 160	ლოგიკა	X	X	X	X	X	X
3.	BIR 190	მსოფლიო ლიტერატურა I	X	X	X		X	X
4.	BIR 200	მსოფლიო ლიტერატურა II	X	X	X		X	X
5.	BIR 180	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	X	X	X	X	X	X
6.	BIR 170	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X			X
7.	BIR 220	შესავალი სოციოლოგიაში	X	X	X		X	X
8.	BIR 240	შესავალი კინემატოგრაფიის ისტორიაში	X	X	X			
ინგლისური ენის კომპონენტი								
1.	BIR 105	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Elementary)	X	X	X	X	X	X
2.	BIR 110	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Pre-intermediate)	X	X	X	X	X	X
3.	BIR 115	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Intermediate)	X	X	X	X	X	X
4.	BIR 120	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (Upper- intermediate)	X	X	X	X	X	X
სპეციალობის სავალდებულო საგნები								
1.	BIR 260	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	X		X	X		X
2.	BIR 280	შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში	X	X	X			X

3.	BIR 300	საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.)	X	X	X		X	
4.	BIR 320	საქართველოს ისტორია (1230 - 1801)	X	X	X		X	
5.	BIR 340	ეკონომიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	
6.	BIR 360	მსოფლიო ისტორია (ძვ.წ. 3000 - ახ.წ. 1500 წწ.)	X	X	X		X	
7.	BIR 380	მსოფლიო ისტორია. 1500-1815	X	X	X		X	
8.	BIR 400	მსოფლიო ისტორია (1815-2000 წწ.)	X	X	X		X	
9.	BIR 480	მსოფლიო პოლიტიკა	X	X	X			X
10.	BIR 420	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში	X	X	X			X
11.	BIR 440	შესავალი შედარებით პოლიტიკაში	X	X	X	X	X	X
12.	BIR 460	შესავალი საერთაშორისო სამართალში	X	X	X	X	X	
13.	BIR 500	ევროკავშირის პოლიტიკა	X	X	X			
14.	BIR 540	კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
15.	BIR 560	სტრატეგია	X	X	X	X		
16.	BIR 580	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
17.	BIR 640	პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X	X		X	
18.	BIR 700	საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა	X	X	X	X	X	
19.	BIR 740	საერთაშორისო ეკონომიკა	X	X	X	X	X	
20.	BIR 800	დემოკრატიის საფუძვლები	X	X	X	X	X	
21.	BIR 620	პოლიტიკის ანალიზი	X	X	X	X	X	
22.	BIR 660	პოლიტიკური ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	
23.	BIR 680	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	X	X	X	X	X	
24.	BIR 840	საერთაშორისო ორგანიზაციები	X	X	X	X	X	X
25.	BIR 520	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	X	X	X			X
		სპეციალობის არჩევითი საგნები						
1.	BIR 461	საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	X	X		X
2.	BIR 462	ევროკავშირის სამართალი	X	X	X	X	X	X
3.	BIR 600	საერთაშორისო განვითარება	X	X	X	X	X	

4.	BIR 720	ადამიანის რესურსების მართვა საჯარო სექტორში	X	X	X	X	X	X
5.	BIR 760	საერთაშორისო ბიზნესი	X	X	X		X	
6.	BIR 820	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X		X		
7.	BIR 860	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი I	X	X	X	X	X	X
8.	BIR 900	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი II	X	X	X	X	X	X
9.	BIR 950	რუსული ენის პრაქტიკული კურსი I	X	X	X	X	X	X
10.	BIR 955	რუსული ენის პრაქტიკული კურსი II	X	X	X	X	X	X

დანართი №1

**პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)**

სახელი, გვარი	თორნიკე შარაშენიძე
თანამდებობა	სამართლის და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: + (995) 599 199983 ელ-ფოსტა: t.sharashenidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: იდეოლოგიებისა და გეოპოლიტიკური კონცეფციების შესაძლო გავლენა რუსეთის რუსეთის ქცევაზე საერთაშორისო პოლიტიკაში (2010) კვლევების სფეროები: დიპლომატიის ისტორია, რეგიონული უსაფრთხოება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა
პუბლიკაციები	- დიპლომატიის ისტორია, მე-19 საუკუნე (წიგნი, 2013); - დიპლომატიის ისტორია, 1890-1920 (წიგნი, 2015); - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის GIPA Journal of Politics and Democratization რედაქტორი; - NATO AS Viewed from Tbilisi and Moscow (Georgian Foundation for Strategic and International Studies, Friedrich Ebert Stiftung, 2017);

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენა
2.	მაია ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ლოგიკა
3.	ნატა ვაჩეიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ქართული მართლწერა
4.	ირაკლი იმედაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ფსიქოლოგიის საფუძვლები
5.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში
6.	ლევან ბერმენიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> მსოფლიო ლიტერატურა I მსოფლიო ლიტერატურა II
7.	გიორგი თავბერიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სოციოლოგიაში
8.	ნინო მანძავა	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი კინემატოგრაფიის ისტორიაში
9.	ზვიად ბარქაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში შესავალი შედარებით პოლიტიკაში
10.	ბაკურ კვაშილავა	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კვლევის მეთოდები პოლიტიკური იდეოლოგიები

11.	გიორგი კობერიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში დემოკრატიის საფუძვლები
12.	მერაბ კაკულია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ეკონომიკის საფუძვლები
13.	ბექა კობახიძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.) საქართველოს ისტორია (1230 - 1801) მსოფლიო ისტორია (ძვ.წ. 3000 - ახ.წ. 1500 წწ.) მსოფლიო ისტორია. 1500-1815 მსოფლიო ისტორია (1815-2000 წწ.)
14.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში მსოფლიო პოლიტიკა
15.	ანა კოსტავა	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი საერთაშორისო სამართალში
16.	ივანე ჩხიკვაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ევროკავშირის პოლიტიკა
17.	ზურაბ აგლაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი კონფლიქტოლოგიაში საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა
18.	ნოდარ ხარშილაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა
19.	ნოშრევან ლომთათიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო განვითარება
20.	თინათინ ბაუმე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> პოლიტიკის ანალიზი მენეჯმენტის საფუძვლები

21.	გიორგი თარგამაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> პოლიტიკური ტექნოლოგიები
22.	კახი ქენქაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> აშშ-ს საგარეო პოლიტიკა
23.	მაკა პეტრიაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ადამიანის რესურსების მართვა საჯარო სექტორში
24.	გიორგი ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ეკონომიკა
25.	მაკა დაუშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ბიზნესი
26.	ლევან მაჭავარიანი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ორგანიზაციები
27.	თინათინ დავითაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი I ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი II
28.	მარინა დავითაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> რუსული ენის პრაქტიკული კურსი I რუსული ენის პრაქტიკული კურსი II
29.	რევაზ ჩხეიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ევროკავშირის სამართალი